ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №164

20 ივნისი 2013 წ.

დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე ქუჩების, პროსპექტების (გამზირების), ხეივნების, გზატკეცილების, შესახვევების, ჩიხების, სკვერების, ბულვარების, ინდივიდუალურ და მრავალბინიან სახლებში სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის კომისიის შექმნის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილების – „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე ქუჩების, პროსპექტების (გამზირების), ხეივნების, გზატკეცილების, შესახვევების, ჩიხების, სკვერების, ბულვარების, ინდივიდუალურ და მრავალბინიან სახლებში სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეიქმნას დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე ქუჩების, პროსპექტების (გამზირების), ხეივნების, გზატკეცილების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, ბულვარების, ინდივიდუალურ და მრავალბინიან სახლებში სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ნინო სიხარულიძე – სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;
- ტარიელ ბერაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში – კომისიის წევრი
- გიორგი სიმონია – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი ქონებისა და მიწის მართვის საკითხებში – კომისიის წევრი

- გოგი ბოლქვაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის სპეციალისტი მშენებლობისა და სირცთი მოწყობის საკითხებში – კომისიის წევრი;

– გოჩა ჯინჭარაძე – დაბა ჩოხატაურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული – კომისიის წევრი.

2. დაევალოს კომისიას დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე ქუჩების, პროსპექტების (გამზირების), ხეივნების, გზატკეცილების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, ბულვარების, ინდივიდუალურ და მრავალბინიან სახლებში სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის მინიჭება ციფრით ან ციფრზე ქართული ანბანის ასოს ინდექსის დამატებით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2011 წლის 18 იანვრის N12 ბრძანება;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. № 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*